„ჭ ი ნ ჭ რ ა ქ ა“

(გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში)

„ოროტსა სძლია კეთილმან“, ზეიმობს სიხარული, სიყვარული და იმარჯვებს ზღაპრის გმირების ლამაზი ოცნება. ყველაფერი შესაძლებელია ზღაპარში: კაციჭამია ბაყ-ბაყ დევისა და მზეთუნახავის არსებობა, მფრინავი ხალიჩები და გლეხი ბიჭის—ჭინჭრაქას ყოვლის შემძლეობა, ადამიანად ქცეული მხეცებისა და სიბრძნეს ნაზიარები 100-წლიანი ქოსა-მრჩევლის სიგიჟემდე მისული ცეკვა... ყველაფერი შესაძლებელია ზღაპარში.

ამიტომაც არავის გაკვირვებია ზღაპრული პერსონაჟების ამეტყველება რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. არც ის გაკვირვებიათ. რომ დიდ და მოუქნელ დათვს ეროსი მანჯგალაძის ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა, გაიძვერა მელიას — მედეა ჩახავას მომხიბვლელობა, მსუნაგ მგელს — გიორგი გეგეჭკორის პლასტიკურობა და მოქნილობა, ტურას — ზინა კვერენჩხილაძის წკრიალა ხმა.

უხაროდა ყველას სერგო ზაქარიაძის ბავშვურად გულუბრყვილო და უზარმაზარი ბაყ-ბაყ დევის სულელური კითხვების ყურის გდება. რამაზ ჩხიკვაძის ქოსა-მრჩეველის დარიგებისა და სიმღერის მოსმენა. ბელა მირიანაშვილის მეფისწულისა და სალომე ყანჩელის მზეთუნახავის ხილვა...

საზეიმო ვითარებაში პირობითად მინიშნებულ ტყესა და სასახლეში (მხატვრები: ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე), მხიარულ მუსიკაში (კომპოზიტორი ბ. კვერნაძე). იუმორსა და სიცილში ჩვენს წინაშე მოქმედებდნენ გ. ნახუცრიშვილის პიესის გმირები. სიცოცხლეს. სიყვარულს ამკვიდრებდნენ სცენაზე.

შეიძლება ზოგჯერ ირღვეოდა ზომიერების გრძნობა. გადამეტებით გროტესკულად გამოიყურებოდნენ კახი კავსაძისა და ელდარ სახლთხუციშვილის გმირები. შეიძლება აღარ სჭიროდა თვალს წინა ფარდებზე გამოხატულობათა სიმრავლე. მაგრამ მაყურებელი მაინც დაძაბული იყო. ღიმილი არ სტოვებდა ბავშვსა და მოხუცს, ყველა იზიარებდა კ. საკანდელიძე — ჭინჭრაქას ვაჟკაცობითა და თავდადებული სიყვარულით მოპოვებულ ბედნიერებას.

ბევრი რამე შეიძლება ითქვას ამ სპექტაკლზე; მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორულ ფანტაზიაზე, სერგო ზაქარიაძის. რამაზ ჩხიკვაძისა და სხვათა ოსტატურ თამაშზე. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ სპექტაკლისაგან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილებანი და განსაკუთრებით ის ფაქტი. რომ ვიხილეთ ასეთი ხასიათის დადგმა.

ჩვენ გვინდა და გვჭირდება ასეთი შემოქმედებითი სიახლით დადგმული სპექტაკლები.

ბ. თვალბრელიძე